N388 2015 წლის 21 სექტემბერი ქ. თბილისი

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე

„ჩანტლაძე საქართველოს წინააღმდეგ“ საქმეზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2015 წლის 30 ივნისს გამოტანილი განჩინების აღსრულებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადის დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოუყოს 7 500 (შვიდი ათას ხუთასი) ევროს ეკვივალენტი ლარი.

ირაკლი ღარიბაშვილი